



მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

Official Bulletin for the Protection of New Varieties of Plants and Breeds of Animals



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

გამოქვეყნების თარიღი

Date of Publication

2024 02 16

1(76)

ისომ-ს წევრი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების აღნიშვნები
ორასომიანი კოდები
(ისომს სტანდარტი ST.3)

AD	ანდორა	GD	გრენადა	MY	მალიზია
AE	არაბთა გაერთიანებული საამიროები	GE	საქართველო	MZ	მოზამბიკი
AF	ავღანეთი	GG	გენზი	NA	ნამიბია
AG	ანტიგუა და ბარბუდა	GH	განა	NE	ნიგერი
AI	ანგილია	GI	გიბრალტარი	NG	ნიგერია
AL	ალბანეთი	GL	გრენლანდია	NI	ნიკარაგუა
AM	სომხეთი	GM	გამბია	NL	ნიდერლანდები
AN	ანტილის კუნძულები (ნიდერლანდები)	GN	გვინეა	NO	ნორვეგია
AO	ანგოლა	GQ	ეკვატორული გვინეა	NP	ნეპალი
AP	ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაცია (ARIPO)	GR	საბერძნეთი	NR	ნაურუ
AR	არგენტინა	GS	სამხრეთი ჯორჯია და სამხრეთი სენდვიჩის კუნძულები	NZ	ახალი ზელანდია
AT	ავსტრია	GT	გვატემალა	OA	აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI)
AU	ავსტრალია	GW	გვინეა-ბისაუ	OM	ომანი
AW	არუბა	GY	გაიანა	PA	პანამა
AZ	აზერბაიჯანი	HK	ჰონ კონგი	PE	პერუ
BA	ბოსნია და ჰერცეგოვინა	HN	ჰონდურასი	PG	პაპუა-ახალი გვინეა
BB	ბარბადოსი	HR	ხორვატია	PH	ფილიპინები
BD	ბანგლადეში	HT	ჰაიტი	PK	პაკისტანი
BE	ბელგია	HU	უნგრეთი	PL	პოლონეთი
BF	ბურკინა-ფასო	IB	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო, WIPO) საერთაშორისო ბიურო	PY	პარაგვაი
BG	ბულგარეთი	ID	ინდონეზია	QA	კატარი
BH	ბაჰრეინი	IE	ირლანდია	QZ	ევროპის თანამეგობრობის მცენარეთა ჯიშების უწყება (CPVO)
BI	ბურუნდი	IL	ისრაელი	RO	რუმინეთი
BJ	ბენინი	IM	მენის კუნძული	RS	სერბია
BM	ბერმუდის კუნძულები	IN	ინდოეთი	RU	რუსეთის ფედერაცია
BN	ბრუნეი-დარუსალამი	IQ	ერაყი	RW	რუანდა
BO	ბოლივია	IR	ირანის ისლამური რესპუბლიკა	SA	საუდის არაბეთი
BR	ბრაზილია	IS	ისლანდია	SB	სოლომონის კუნძულები
BS	ბაჰამის კუნძულები	IT	იტალია	SC	სეიშელის კუნძულები
BT	ბჰუტანი	JE	ჯეიზი	SD	სუდანი
BV	ბუვეტის კუნძულები	JM	იამაიკა	SE	შვედეთი
BW	ბოტსვანა	JO	იორდანია	SG	სინგაპური
BX	ბენელუქსის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (BOIP)	JP	იაპონია	SH	წმინდა ელენეს კუნძული
BY	ბელორუსის რესპუბლიკა	KE	კენია	SI	სლოვენია
BZ	ბელიზი	KG	ყირგიზეთი	SK	სლოვაკია
CA	კანადა	KH	კამბოჯა	SL	სიერა-ლეონე
CD	კონგოს დემოკრატიული რესპ.	KI	კირიბატი	SM	სან-მარინო
CF	ცენტრალური აფრიკის რესპ.	KM	კომორის კუნძულები	SN	სენეგალი
CG	კონგო	KN	სენტ კიტსი და ნევისი	SO	სომალი
CH	შვეიცარია	KP	კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	SR	სურინამი
CI	კოტ-დ'ივუარი	KR	კორეის რესპუბლიკა	ST	სან-ტომე და პრინსიპი
CK	კუკის კუნძულები	KW	კუვეიტი	SV	სალვადორი
CL	ჩილე	KY	კაიმენის კუნძულები	SY	სირია
CM	კამერუნი	KZ	ყაზახეთი	SZ	სვაზილენდი
CN	ჩინეთი	LA	ლაოსი	TC	თერქსის და კაიკოსის კუნძულები
CO	კოლუმბია	LB	ლიბანი	TD	ჩადი
CR	კოსტა-რიკა	PT	პორტუგალია	TG	ტოგო
CU	კუბა	PW	პალაუ	TH	ტაილანდი
CV	მნგანე კონცხის კუნძულები	LC	სენტ-ლუსია	TJ	ტაჯიკეთი
CY	კვიპროსი	LI	ლიხტენშტაინი	TL	ტიმორ-ლესტე
CZ	ჩეხეთის რესპუბლიკა	LK	შრი-ლანკა	TM	თურქმენეთი
DE	გერმანია	LR	ლიბერია	TN	ტუნისი
DJ	ჯიბუტი	LS	ლესოტო	TO	ტონგა
DK	დანია	LT	ლიეტუვა	TR	თურქეთი
DM	დომინიკა	LU	ლუქსემბურგი	TT	ტრინიდადი და ტობაგო
DO	დომინიკელთა რესპუბლიკა	LV	ლატვია	TV	ტუვალუ
DZ	ალჟირი	LY	ლიბია	TW	ტაივანი, ჩინეთის პროვინცია
EA	ევრაზიის საპატენტო ორგანიზაცია (EAPO)	MA	მაროკო	TZ	ტანზანია
EC	ეკვადორი	MC	მონაკო	UA	უკრაინა
EE	ესტონეთი	MD	მოლდოვას რესპუბლიკა	UG	უგანდა
EG	ეგვიპტე	ME	ჩერნოგორია (მონტენეგრო)	US	აშშ
EH	დასავლეთი საჰარა	MG	მადაგასკარი	UY	ურუგვაი
EM	შინაგანი ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და დიზაინი) (OHIM)	MK	მაკედონია ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა	UZ	უზბეკეთი
EP	ევროპის საპატენტო უწყება (EUEPO)	ML	მალი	VA	ვატიკანი
ER	ერიტრეა	MM	მიანმა	VC	სანტ-ვინსენტი და გრენადინები
ES	ესპანეთი	MN	მონღოლეთი	VE	ვენესუელა
ET	ეთიოპია	MO	მაკაო	VG	ვირჯინის კუნძულები (ბრიტანეთი)
FI	ფინეთი	MP	ჩრდ. მარიანას კუნძულები	VN	ვიეტნამი
FJ	ფიჯი	MR	მავრიტანია	VU	ვანუატუ
FK	ფოლკლენდის კუნძულები	MS	მონსერატი	WO	WIPO-ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
FO	ფარერის კუნძულები	MT	მალტა	WS	სამოა
FR	საფრანგეთი	MU	მავრიკია	XN	ნორდული საპატენტო ინსტიტუტი (NPI)
GA	გაბონი	MV	მალდივის კუნძულები	YE	იემენი
GB	დიდი ბრიტანეთი	MW	მალავი	ZA	სამხრეთ აფრიკა
GC	სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს უწყება (GCC)	MX	მექსიკა	ZM	ზამბია
				ZW	ზიმბაბვე

**მცენარეთა და
ცხოველთა ახალი
ჯიშების დაცვის
ოფიციალური
ბიულეტენი**

**Official Bulletin
for the Protection of
New Varieties of
Plants and Breeds of
Animals**

გამოქვეყნების თარიღი
Date of Publication
2024 02 16

1(76)

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breed of animal or new variety of plant does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

განაცხადის ტიპის ასრითი აღნიშვნა

LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)

P – Indication of applications for new plant varieties (Plant)

(10) P 0000 000 A მცენარის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new plant varieties (I publication)

(11) P 0000 000 B მცენარის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new plant varieties (II publication)

(21) P 0000 000000 მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new plant varieties

A – ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)

A – Indication of applications for animal breeds (Animal)

(10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new animal breeds (I publication)

(11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new animal breeds (II publication)

(21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new animal breeds

შინაარსი

ახალი ჯიშების განაცხადები

• მოცვი „FC14-062“	2
• მოცვი „FC12-205“	14
• მოცვი „FC11-118“	25

CONTENT

APPLICATIONS OF NEW PLANT VARIETIES

• BLUEBERRY “FC14-062”	2
• BLUEBERRY “FC12-205”	14
• BLUEBERRY “FC11-118”	25

ახალი ჯიშების განაცხადები

ჯიშის კატეგორია:	მცენარე
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2024 256 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2024 02 16 №1
განაცხადის ნომერი:	P 2020 256
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2020 07 15

განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.

39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

პეტერ სტეფან ბოხესი (US)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* hybrid

ჯიშის დასახელება: FC14-062

ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „FC14-062“. „FC14-062“ კომერციული ჯიშია, რომლის მოსავლის აღება ხდება ხელით და განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის. ჯიში წარმოიშვა „Blue Ribbon“-ის (მდედრი მშობელი, დაპატენტებული 2014 წლის 15 ივლისს) და „FC10-069“-ის (მამრი მშობელი, არ არის რეგისტრირებული) შეჯვარებით და გამოირჩევა განსაკუთრებული მახასიათებლებით.

APPLICATIONS OF NEW PLANT VARIETIES

CATEGORY OF THE APPLICATION:	PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:	P 2024 256 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION:	2024 02 16 №1
NUMBER OF THE APPLICATION:	P 2020 256
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2020 07 15

APPLICANT:

Fall Creek Farm & Nursery Inc.
39318 Jasper-Lowell Rd., 97452, Lowell (OR) (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Peter Stefan Boches (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

BLUEBERRY / *Vaccinium corymbosum* hybrid

VARIETY DENOMINATION: FC14-062**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**

The new blueberry plant variety “FC14-062” is provided. “FC14-062” is a commercial variety intended for the hand harvest fresh fruit market. The variety is produced from a cross of “Blue Ribbon” (female parent, patented Jul. 15, 2014) and “FC10-069” (male parent, unpatented), which can be distinguished by its outstanding features.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* hybrid

II. განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.

39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

პეტერ სტეფან ბოხესი (US)

III. ჯიშის დასახელება: FC14-062

IV. ჯიშის ნიშან-თვისებები, ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე: მოცვის ახალი ჯიში „FC14-062“ არ შემოწმებულა ყველა შესაძლო გარემო პირობებში. ფენოტიპი შეიძლება გარკვეულწილად განსხვავდებოდეს გარემო პირობებისა და კულტურული პრაქტიკის ცვლილებებით, როგორცაა ტემპერატურა და სინათლის რაოდენობა, გენოტიპში რაიმე განსხვავების გარეშე.

„FC14-062“ ხასიათდება ძლიერი, ენერგიული ზრდით და ნაყოფის ხარისხით. ახალი ჯიშის შემდეგი მახასიათებლები არაერთხელ იქნა დაფიქსირებული და განსაზღვრული, როგორც მოცვის ახალი ჯიშის „FC14-062“ უნიკალური მახასიათებლები:

- 1) მცენარის ენერგიული, ძლიერი ზრდა განსაკუთრებული ნაადრევი განვითარებით;
- 2) ადრეული-შუა სეზონის, კონცენტრირებული დამწიფება;
- 3) დიდი ზომის ნაყოფი, მკვრივი ტექსტურით;
- 4) ძალიან კარგი, ხანგრძლივი ცივი შენახვის მაჩვენებლით.

გამოსახულებების მოკლე აღწერილობა

თანდართულ ფოტოილუსტრაციებში ნაჩვენებია ახალი ჯიშის „FC14-062“ მცენარეების ნიმუშები ფოთლის და ნაყოფის სრული ფერებით. ფერები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ზუსტია, ამ სახით წარმოდგენისთვის.

გამოსახულება 1 – ახალი ჯიშის „FC14-062“ ფოტო, რომელზეც ნაჩვენებია მცენარის ფოთლები და ზრდა შემოდგომაზე. მცენარე მოყვანილია ლოუელში, ორეგონი, აშშ, ფოტო გადაღებულია 2018 წლის 16 ნოემბერს.

გამოსახულება 2 – ახალი ჯიშის „FC14-062“ დაუმწიფებელი ნაყოფის მტევნის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2018 წლის 18 ივნისს.

გამოსახულება 3 – ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი ახალი ჯიშის „FC14-062“ ყვავილების ფოტო, რომელიც გადაღებულია 2018 წლის 18 აპრილს.

გამოსახულება 4 – ახალი ჯიშის „FC14-062“ შემოდგომის ფოთოლცვენის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2018 წლის 16 ნოემბერს.

გამოსახულება 5 – ახალი ჯიშის „FC14-062“ ადრეული კვირტების ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2018 წლის 18 აპრილს.

გამოსახულება 6 – ახალი ჯიშის „FC14-062“ ერთი წლის მცენარის ლერწმის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2018 წლის 18 აპრილს.

გამოსახულება 7 – ახალი ჯიშის „FC14-062“ მწიფე ნაყოფის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2017 წლის 19 ნოემბერს.

ფოტოგრაფიული და ბეჭდვითი ტექნოლოგიების გამოყენებით, ფოტოების ფერები მაქსიმალურად ახლოსაა რეალურთან. დეტალურ ბოტანიკურ აღწერაში მოცემული ფერის მნიშვნელობები ზუსტად აღწერს ახალი მოცვის ფერებს.

დეტალური ბოტანიკური აღწერილობა

ქვემოთ მოცემულია „FC14-062“-ის განმასხვავებელი მახასიათებლების დეტალური აღწერა. ამ მახასიათებლების განმსაზღვრელი მონაცემები შეგროვდა თავდაპირველი სელექციის უსქესო გამრავლებიდან. განზომილებები, ზომები, ფერები და სხვა მახასიათებლები არის სავარაუდო და საშუალო და მითითებული შეძლებისდაგვარად ზუსტად. მცენარის ისტორია აღებულია დაახლოებით 3-დან 4 წლამდე მცენარეებიდან და აღწერილობები უკავშირდება მცენარეებს, რომლებიც გაიზარდა მინდორში, რომელიც მდებარეობს 39252 ლოუელში, ორეგონი, აშშ. ხილის მახასიათებლების აღწერა გაკეთდა მინდორში მოყვანილ ნაყოფზე, ლოუელში, ორეგონი, აშშ. ფერთა აღნიშვნები არის „პანტონის ფერთა წიგნიდან“ (Leatrice Eiseman and Lawrence Herberly, Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York 1990). იქ, სადაც პანტონის ფერების აღნიშვნები განსხვავდება ფოტოების ფერებისგან, ზუსტია პანტონის ფერები.

კლასიფიკაცია:

- a. ოჯახი – მანანასებრნი (Ericaceae);
- b. გვარი – Vaccinium;
- c. სახეობა – corymbosum ჰიბრიდული;
- d. ზოგადი სახელწოდება – ჩრდილოეთის ბუჩქოვანი მოცვი. მშობლები: მდედრი მშობელი – „Blue Ribbon“ (აშშ მცენარის პატენტი #24,636, დაპატენტებული 2014 წლის 15 ივლისს). მამრი მშობელი – „FC10-069“ (რეგისტრირებული არ არის). ბაზრის კლასი: ახალი ხილის კომერციული წარმოება, მაგრამ შესაფერისია გადამამუშავებელი ბაზრისთვის.

მცენარე

ზოგადი:

- a. მშობლები – მდედრი მშობელი – „Blue Ribbon“ (აშშ მცენარის პატენტი №24,636, დაპატენტებული 2014 წლის 15 ივლისს). მამრი მშობელი – „FC10-069“ (რეგისტრირებული არ არის);
- b. მცენარის სიმაღლე – 137.668 სმ;
- c. მცენარის სიგანე – 172.212 სმ;
- d. ზრდა – ვერტიკალური;
- e. ზრდა სეზონზე (ანუ მცენარის სიძლიერე) – მაღალი;
- f. პროდუქტიულობა – მაღალი;
- g. ყინვამდგრადობა – კარგი;
- h. გაგრილების მოთხოვნა – სავარაუდო მინიმუმი 800-1000;
- i. ფოთლიანობა – მაღალი;
- j. დატოტიანება – ზომიერად ტოტიანი;
- k. ფესვის ლობისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა
- l. ღეროს დაავადებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Botryosphaeria* sp.) – საშუალოდ მგრძნობიარე;
- m. ღეროს დაავადება ფომოფისისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Phomopsis vaccinii*) – საშუალოდ მგრძნობიარე;

- n. ფოთლის ლაქებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Botrytis cinerea*) – საშუალოდ მგრძნობიარე;
- o. ფოთლის ლაქებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Septoria. Spp.*) – საშუალოდ მგრძნობიარე;
- p. ფოთლის ჯანგისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Naohidemycetes vaccinii*). – საშუალოდ მგრძნობიარე;
- q. ტკიპასადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Acalatus vaccinii*) – საშუალოდ მგრძნობიარე.

ღერო

ზოგადი:

- a. ნაოჭებისკენ მიდრეკილება – დაბალი;
- b. მწიფე ლერწმის ფერი – პანტონის ფერი 14-10114 (Gravel);
- c. მწიფე ლერწმის სიგრძე – საშუალოდ 142.758 სმ;
- d. მწიფე ლერწმის სიგანე – საშუალოდ 16.810 მმ;
- e. ქერქის ტექსტურა – უხეში;
- f. შემოდგომის ფერი ახალ ამონაყარზე – პანტონის ფერი 19-1762 (Crimson);
- g. ახალი მერქნის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- h. კვანძთაშორისის სიგრძე ახალ ამონაყარზე – 26.466 მმ;
- i. მსხმოიარე ტოტზე კვირტების დაახლოებითი რაოდენობა – საშუალოდ 7.2.

ფოთლები

ზოგადი:

- a. ფოთლის კვირტების გაშლის დაწყების დრო – შუა აპრილი, ლოუელში, ორეგონში კი, აპრილის დასაწყისი;
- b. ფოთლის ფერი (ზემოდან) – პანტონის ფერი 19-0323 (Chive);
- c. ფოთლის ფერი (ქვემოდან) – პანტონის ფერი 16-0421 (Sage);
- d. ფოთლების განლაგება – ალტერნატიული და სპირალური; დექსტროზა;
- e. ფოთლის ფორმა – ფართო, ელიფსური;
- f. ფოთლის კიდეები – მთლიანი;
- g. ტალღოვანი კიდეები – არა;
- h. ფოთლის ძარღვები – ანასტომოზი;
- i. ფოთლის წვეტი – ოდნავ წაწვეტებული;
- j. ფოთლის ფუძე – ბლაგვი;
- k. ფოთლის სიგრძე – საშუალოდ 68.212 მმ;
- l. ფოთლის სიგანე – 40.708 მმ;
- m. ფოთლის სიგრძის/სიგანის თანაფარდობა – 1.67;
- n. ფოთლის ნექტარი – არ აქვს;
- o. ზედა ბუსუსები – არ აქვს;
- p. ქვედა ბუსუსები – არ აქვს;
- q. განიკვეთი პროფილი – აბაქსიალური მხრისკენ დახვეული კიდეების მქონე;
- r. სიგრძივი პროფილი – ბრტყელი;
- s. პოზიცია – სწორი;
- t. შემოდგომის ფოთლის ფერი (ზემოდან) – პანტონის ფერი 19-1762 (Crimson).

ფოთლის ყუნწი:

- a. სიგრძე – 3.628 მმ;

- b. სიგანე – საშუალოდ 1.678 მმ;
- c. ფერი – პანტონის ფერი 12-0418 (Hay);
- d. ფოთლის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი.

ყვავილები

ზოგადი:

- a. ყვავილობის დაწყების დრო – შუა აპრილიდან გვიან აპრილამდე ლოუელში, ორეგონი;
- b. 50%-იანი ყვავილობის დრო – დაახლოებით ადრეულ მაისში, ლოუელში, ორეგონი;
- c. ყვავილის ფორმა – კოკორისებრი;
- d. ყვავილის კვირტების სიხშირე – საშუალო;
- e. ყვავილის სურნელი – არ აქვს;
- f. უმწიფარი ყვავილის ფერი – პანტონის ფერი 15-1922 (Geranium Pink);
- g. შეთავსებადობა – კარგი. თვითდამტვერილი ყვავილების დაახლოებით 72%-მა მოგვცა ნაყოფი 2019 წელს.

გვირგვინი:

- a. ფერი – პანტონის ფერი 11-0603 (Pastel Parchment);
- b. სიგრძე – 9.322 მმ;
- c. სიგანე – 8.25 მმ;
- d. ღიობის სიგანე – 4.444 მმ.
- e. გვირგვინის ანთოციანინის ფერი – ღია ფერის ან უფერული;
- f. ამოზნექილი გვირგვინი – აქვს;
- g. სტიგმის პროტრუზია – 0.0734 მმ გვირგვინის ქვემოთ.

ყვავილეთი:

- a. სიგრძე – 37.62 მმ;
- b. დიამეტრი – 39.154 მმ;
- c. ყვავილის ყუნწის სიგრძე – 19.224 მმ;
- d. ყვავილის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- e. ყვავილის ყუნწის ფერი – პანტონის ფერი 17-1633 (Holly berry);
- f. ყვავილის ყუნწის სიგრძე – 8.902 მმ;
- h. ყვავილის ყუნწის ფერი – პანტონის ფერი 17-1633 (Holly berry);
- i. ყვავილების რაოდენობა მტევანზე – 7.4;
- j. ყვავილის მტევნის სიხშირე – საშუალო.

ფოთოლაკი (ჯამის ფოთლით):

- a. დიამეტრი – 8.488 მმ;
- b. ფერი (ჯამის ფოთლი) – პანტონის ფერი 12-0426 (Mellow Green).

მტვრიანა:

- a. სიგრძე – 6.46 მმ;
- b. რაოდენობა 1 ყვავილში – 10 მტვრიანა;
- c. მტვრიანას ძაფის ფერი – პანტონის ფერი 12- 0524 (Citron).

ბუტკო:

- a. სიგრძე – 9.63 მმ;
- b. ნასკვის ფერი (გარე) – პანტონის ფერი 18-0322. (Cypress);
- c. ღეროს სიგრძე – 8.74 მმ.

სამტვრე:

- a. სიგრძე – 4.716 მმ;
- b. რაოდენობა – 2 ცალი ერთ მტვრიანას ძაფში;
- c. ფერი – პანტონის ფერი 16-1342 (Buckskin).

მტვერი:

- a. სიმრავლე – ზომიერი;
- b. ფერი – პანტონის ფერი 12-0817 (Comhusk).

ნაყოფი

ზოგადი:

- a. ნაყოფის სიმწიფის დრო – საშუალოდ 12 ივლისი, ლოუელში, ორეგონი;
- b. 50%-იანი სიმწიფის დრო – საშუალოდ 12 ივლისი, ლოუელში, ორეგონი;
- c. ნაყოფის განვითარების პერიოდი – საშუალოდ 72 დღის განმავლობაში, ლოუელში, ორეგონი;
- d. მოსავლის აღების საშუალო თარიღი – საშუალოდ, 16 ივლისი;
- e. ბოლო აღების საშუალო თარიღი – დაახლოებით 1 აგვისტო;
- f. მტევნის სიხშირე – საშუალოდ მაღალი;
- g. მტევანში კენკრის რაოდენობა – 7.6 კენკრა ერთ მტევანზე;
- h. უმწიფარი ნაყოფის ფერი – პანტონის ფერი 15-0543 (Apple Green);
- i. მწიფე კენკრის ფერი – პანტონის ფერი 16-3919 (Purple Cloud);
- j. კენკრის კანის ფერი გაპრიალების შემდეგ – პანტონის ფერი 19-4104 (Ebony);
- k. ცვილის რაოდენობა კენკრის ზედაპირზე – საშუალო;
- l. კენკრის რბილობის ფერი – პანტონის ფერი 11-0304 (Water Lily);
- m. კენკრის წონა – საშუალოდ 2.85 გ;
- n. კენკრის სიმაღლე ფოთოლაკიდან ყუნწამდე – 13.519 მმ;
- o. კენკრის დიამეტრი – 18.755 მმ;
- p. ფოთოლაკის ღიობი – საშუალოდ 7.147 მმ;
- q. ფოთოლაკის სიღრმე – საშუალოდ 1.075 მმ;
- r. ღერაკის სიგრძე – საშუალოდ 10.376 მმ;
- s. ღერაკის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;
- t. კენკრის გამოცალკეება – საშუალო სირთულის, არ არის ძნელი მოსაცილებელი, არ აქვს ყუნწის ნაწიბურიდან გამონადენი;
- u. კენკრის ფორმა – პოლუსებთან შებრტყელებული;
- v. ნაყოფის ყუნწის ნაწიბური – მცირე-საშუალო, მშრალი;
- w. მწიფე ნაყოფის სიტკბო – საშუალო;
- x. მწიფე ნაყოფის სიმკვრივე – მკვრივი;
- y. მწიფე ნაყოფის მჟავიანობა – საშუალო;

თესლი

ზოგადი:

- a. თესლის სიმრავლე ნაყოფში – საშუალო;
- b. თესლის ფერი – პანტონის ფერი 17-1134 (Brown Sugar);
- c. თესლის მშრალი წონა – 0.267 მგ.;
- d. თესლის სიგრძე – საშუალოდ 1.5 მმ.

მშობელი და კომერციული ჯიშების შედარება

ცხრილი 1

მსგავსი ჯიშის დასახელება	მახასიათებლები შედარებისთვის	მსგავსი ჯიშის გამოხ. მდგომ.	კანდ. ჯიშის გამოხ. მდგომ.
'Draper' (აშშ მცენ. პატენტი № 15 103)	ძლიერი	საშუალო	მაღალი
'Draper' (აშშ მცენ. პატენტი № 15 103)	შენახვა	კარგი	შესანიშნავი
'Blue Ribbon' (აშშ მცენ. პატენტი № 24 636)	მოსავალი	7.2 ფუნტი 1 მცენარეზე (3 წლის)	9.7 ფუნტი 1 მცენარეზე (3 წლის)
'Blue Ribbon' (აშშ მცენ. პატენტი № 24 636)	ზრდა	უწესრიგო	ვერტიკალური
'FC10-069'	ნაყოფის ზომა	საშუალო	დიდი

ფორმულა: 1. მოცვის ახალი, განსხვავებული მცენარე სახელწოდებით „FC14-062“, ძირითადად, როგორც ნაჩვენებია და აღწერილია ზემოთ.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახლება: 3



გამოსახლება: 4



გამოსახულება: 5



გამოსახულება: 6



გამოსახლება: 7

ჯიშის კატეგორია:	მცენარე
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2024 257 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2024 02 16 №1
განაცხადის ნომერი:	P 2020 257
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2020 07 15

განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.
39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:
პეტერ სტეფან ბოხესი (US)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:
მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

ჯიშის დასახელება: FC12-205

ჯიშის მოკლე დახასიათება

წარმოდგენილია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „FC12-205“. „FC12-205“ კომერციული ჯიშია, რომელიც განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის. ჯიში მიღებულია „ZF06-103“-ის (მდედრი მშობელი, არ არის რეგისტრირებული) და „ZF06-264“-ის (მამრი მშობელი, არ არის რეგისტრირებული) შეჯვარებით, რომელსაც აქვს გამორჩეული მახასიათებლები, მათ შორის, გვიან მომწიფება, დიდი, ერთნაირი ზომის, ღია ცისფერი ნაყოფი, ყვითელ-მწვანე ფერის ღერო და ძლიერი ყვავილოვანი სურნელის ყვავილები.

CATEGORY OF THE APPLICATION:	PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:	P 2024 257 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION:	2024 02 16 №1
NUMBER OF THE APPLICATION:	P 2020 257
DATE OF FILING OF THE APPLICATION:	2020 07 15

APPLICANT:

Fall Creek Farm & Nursery Inc.
39318 Jasper-Lowell Rd., 97452, Lowell (OR) (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Peter Stefan Boches (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Blueberry / *Vaccinium corymbosum* L.

VARIETY DENOMINATION: FC12-205**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**

The new blueberry plant variety “FC12-205” is provided. “FC12-205” is a commercial variety intended for the fresh fruit market. The variety is produced from a cross of “ZF06-103” (female parent, unpatented) and “ZF06-264” (male parent, unpatented), which can be distinguished by its outstanding features, including late-season ripening, large, uniform fruit size and light blue appearance, yellow-green stem color, and flowers with strong floral scent.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

II. განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.

39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

პეტერ სტეფან ბოხესი (US)

III. ჯიშის დასახელება: FC12-205

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

[0001] წინამდებარე განაცხადი ითხოვს პრიორიტეტს აშშ-ს წინასწარი განაცხადის მიმართ - საპატენტო განაცხადი # 62/995600, წარდგენილი 2020 წლის 6 თებერვალს, რომელიც მთლიანად ჩართულია ამ აღწერილობაში ყველა შესაძლო მითითებების საშუალებით.

[0002] გვარისა და სახეობის ლათინური სახელწოდება: ოჯახი - მანანასებრნი (Ericaceae); გვარი - *Vaccinium*; სახეობა - *corymbosum*.

[0003] ჯიშის დასახელება: მოცვის ახალი მცენარე რომელზეც კეთდება განაცხადი, დასახელებით „FC12-205“.

[0004] განაცხადი ეხება ჩრდილოეთის მოცვის ახალი და გამორჩეული მცენარის ჯიშის აღმოჩენას (*Vaccinium corymbosum* L.), მოხსენიებულს, როგორც „FC12-205“, აქ აღწერილს და ილუსტრირებულს. მოცვის ახალი ჯიში „FC12-205“ კომერციული ჯიშია, რომელიც განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის. ჯიში გამოირჩევა მაღალი სიცოცხლისუნარიანობით, ვერტიკალური ზრდით, მწიფდება სეზონის ბოლოს და იძლევა დიდ, ერთგვაროვან ნაყოფს. „FC12-205“ შეირჩა მისი საშუალოზე მაღალი ნაყოფის ხარისხის გამო, სხვა გვიანი სეზონის ჯიშებთან შედარებით. ნაყოფს აქვს ცვილის შესანიშნავი საფარი, ღია ცისფერი, ხოლო ნაყოფის შეკუმშვისა და დაზარვის პროცენტული მაჩვენებელი შედარებით ნაკლებია, ვიდრე იმავე მოსავლის პერიოდის სხვა ჯიშებში.

[0005] „FC12-205“ განსხვავდება მდებრობითი სქესის მშობლისგან „ZF06-103“ უფრო დიდი, უფრო თანაბარი ზომის ნაყოფით. „FC12-205“ განსხვავდება მამრობითი მშობლისგან „ZF06-264“ უფრო დიდი და მკვრივი ნაყოფით.

[0006] წარმოშობა და ისტორია: მოცვის ახალი მცენარე მიღებული იქნა „ZF06-103“-სა (მდებრობითი, დაუპატენტებელი) და „ZF06-264“-ს (მამრობითი, დაუპატენტებელი) შეჯვარებით, ლოუელში, ორეგონი, აშშ, 2008 წელს.

[0007] მოცვის ახალი ჯიში „FC12-205“ თავდაპირველად შეჯვარებული იქნა 2008 წელს ლოუელში, ორეგონი, აშშ და 2009 წელს დაირგა სანერგე ნიადაგში.

[0008] „FC12-205“ შეირჩა მისი მაღალი მოსავლიანობის პოტენციალის გამო: მოსავლის აღების გვიანი პერიოდი, მოსავლისწინა ნაყოფის მდგრადობა დახეთქვისა და დანაოჭებისადმი, ერთგვაროვანი ფორმის, დიდი ზომის და მიმზიდველი შესახედაობის ნაყოფი, ცივი შენახვის ფართო შესაძლებლობები.

[0009] მოცვის ახალი ჯიში „FC12-205“ არ შემოწმებულა ყველა შესაძლო გარემო პირობებში. ფენოტიპი შეიძლება გარკვეულწილად განსხვავდებოდეს გარემო პირობებისა და

კულტურული პრაქტიკის ცვლილებებით, როგორცაა ტემპერატურა და სინათლის რაოდენობა, გენოტიპში რაიმე განსხვავების გარეშე.

[0010] „FC12-205“ გამოირჩევა გვიანი დამწიფებით, დიდი ერთნაირი ნაყოფის ზომით და ღია ცისფერი გარეგნობით, ღეროს კამკამა ყვითელ-მწვანე ფერით და ყვავილის მკვეთრი სურნელით. ახალი ჯიშის შემდეგი მახასიათებლები არაერთხელ იქნა დაფიქსირებული და განსაზღვრული, როგორც მოცვის ახალი ჯიშის „FC12-205“ უნიკალური მახასიათებლები.

[0011] 1) გვიანი სეზონის დამწიფება.

[0012] 2) დიდი, ერთნაირი ზომის ნაყოფი და ღია ცისფერი გარეგნობა.

[0013] 3) ღეროს მოყვითალო-მწვანე ფერი.

[0014] 4) ყვავილები ძლიერი ყვავილოვანი სურნელით.

გამოსახულებების მოკლე აღწერილობა

[0015] თანდართულ ფოტოილუსტრაციებში ნაჩვენებია ახალი ჯიშის „FC12-205“ დაახლოებით სამიდან ოთხ წლამდე ასაკის მცენარეების ტიპური ნიმუშები ფოთლისა და ნაყოფის სრული ფერებით. ფერები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ზუსტია.

[0016] **გამოსახულება 1** არის ახალი ჯიშის „FC12- 205“ ფოტო, რომელზეც ნაჩვენებია მცენარის ფოთლები და ზრდა შემოდგომაზე. მცენარე მოყვანილია ლოუელში, ორეგონი, აშშ, ფოტო გადაღებულია 2018 წლის 16 ნოემბერს.

[0017] **გამოსახულება 2** არის ახალი ჯიშის „FC12-205“ ნაყოფის მტევნის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2017 წლის 1 აგვისტოს.

[0018] **გამოსახულება 3** – არის ლოუელში, ორეგონი, აშშ, მოყვანილი ახალი ჯიშის „FC12-205“ ყვავილების ფოტო, რომელიც გადაღებულია 2017 წლის 4 მაისს.

[0019] **გამოსახულება 4** არის ახალი ჯიშის „FC12-205“ გაზაფხულის ფოთლების ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2017 წლის 30 მაისს.

[0020] **გამოსახულება 5** არის ახალი ჯიშის „FC12-205“ ადრეული კვირტების ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2017 წლის 16 მარტს.

[0021] **გამოსახულება 6** არის ახალი ჯიშის „FC12-205“ ერთი წლის მცენარის ლერწმის ფოტო, რომელიც გაიზარდა ლოუელში, ორეგონი; ფოტო გადაღებულია 2018 წლის 18 აპრილს.

[0022] ფოტოების ფერები მაქსიმალურად ახლოსაა ფოტოგრაფიული და ბექდვის ტექნოლოგიების გამოყენებით. დეტალურ ბოტანიკურ აღწერაში მოცემული ფერის მნიშვნელობები ზუსტად აღწერს ახალი მოცვის ფერებს.

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:

დეტალური ბოტანიკური აღწერა

[0023] ქვემოთ მოცემულია „FC12-205“-ის განმასხვავებელი მახასიათებლების დეტალური აღწერა. ამ მახასიათებლების განმსაზღვრელი მონაცემები შეგროვდა თავდაპირველი სელექციის უსქესო გამრავლებიდან. განზომილებები, ზომები, ფერები და სხვა მახასიათებლები არის სავარაუდო და საშუალო და მითითებული შეძლებისდაგვარად ზუსტად. მცენარის ისტორია აღებულია დაახლოებით 6 წლამდე მცენარეებიდან და აღწერილობები უკავშირდება მცენარეებს, რომლებიც გაიზარდა მინდორში, რომელიც მდებარეობს 39252 ჯასპერ-ლოუელში, ორეგონი, აშშ. ხილის მახასიათებლების აღწერა გაკეთდა მინდორში მოყვანილ ნაყოფზე, ლოუელში, ორეგონი, აშშ. ფერთა აღნიშვნები არის „პანტონის ფერთა წიგნიდან“ (Leatrice Eiseman and Lawrence Herbery, Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York

1990). იქ, სადაც პანტონის ფერების აღნიშვნები განსხვავდება ფოტოების ფერებისგან, ზუსტია პანტონის ფერები.

[0024] კლასიფიკაცია:

- [0025] a. ოჯახი – მანანასებრნი (Ericaceae);
- [0026] b. გვარი – *Vaccinium*;
- [0027] c. სახეობა – *Corymbosum*;
- [0028] d. ზოგადი სახელწოდება – ჩრდილოეთის ბუჩქოვანი მოცვი;
- [0029] მშობლები: მდედრი მშობელი – „ZF06-103“ (რეგისტრირებული არ არის).
მამრი მშობელი – „ZF06-264“ (რეგისტრირებული არ არის).
- [0030] ბაზრის კლასი: ახალი ხილის კომერციული წარმოება, მაგრამ შესაფერისია გადამამუშავებელი ბაზრისთვის.

მცენარე

[0031] ზოგადი:

- [0032] a. მშობლები: მდედრი – „ZF06-103“ (რეგისტრირებული არ არის).
მამრი – „ZF06-264“ (რეგისტრირებული არ არის);
- [0033] b. მცენარის სიმაღლე – საშუალოდ 162.56 სმ;
- [0034] c. მცენარის სიგანე – საშუალოდ 203.20 სმ;
- [0035] d. ზრდა – ვერტიკალური;
- [0036] e. ზრდა – მაღალი;
- [0037] f. პროდუქტიულობა – მაღალი;
- [0038] g. სიცივისადმი მედეგობა – კარგი. ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ვაშინგტონში სიცივისგან დაზიანება არ მომხდარა;
- [0039] h. გაგრილების მოთხოვნა – სავარაუდო მინიმუმი 800-1000;
- [0040] i. ფოთლიანობა – კარგი;
- [0041] j. განშტოება – საშუალო;
- [0042] k. ფესვის ლობისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Phytophthora cinnamomii*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0043] l. ღეროს დაავადებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Botryosphaeria. sp.*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0044] m. ღეროს დაავადება ფომოფისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Phomopsis vaccinii*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0045] n. ფოთლის ლაქებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Botrytis cinerea*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0046] o. ფოთლის ლაქებისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Septoria. spp.*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0047] p. ფოთლის ჟანგისადმი გამძლეობა/მგრძნობელობა, დაჟანგვა (*cinerea*) – არც ისე მგრძნობიარე;
- [0048] q. ტკიპასადმი გამძლეობა/მგრძნობელობა (*Acalatus vaccinii*) – არც ისე მგრძნობიარე.

ღერო

[0049] ზოგადი:

- [0050] a. ნაოჭებისკენ მიდრეკილება – დაბალი;
- [0051] b. მწიფე ლერწმის ფერი – პანტონის ფერი „Beaver fur“ 17-1417;
- [0052] c. მწიფე ლერწმის სიგრძე – 152.4 სმ;
- [0053] d. მწიფე ლერწმის სიგანე – საშუალოდ 15.63 მმ;
- [0054] e. ქერქის ტექსტურა – უხეში;

- [0055] *f. ახალი ამონაყარის შემოდგომის ფერი – პანტონის ფერი „Aurora Red“ 18-550;*
- [0056] *g. ახალი მერქნის ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;*
- [0057] *h. კვანძთაშორისი სიგრძე ახალ, ძლიერ ყლორტებზე – 19,62 მმ;*
- [0058] *i. მსხმოიარე ტოტზე კვირტების დაახლ. რაოდენობა – საშუალოდ 6.*

ფოთლები

[0059] ზოგადი:

- [0060] *a. ფოთლის კვირტის აფეთქების დრო – ლოუელში, ორეგონი, შუა აპრილი;*
- [0061] *b. ფოთლის ფერი (ზემოდან) – პანტონის ფერი „Black Forest“ 19-0315;*
- [0062] *c. ფოთლის ფერი (ქვემოდან) – პანტონისფერი „Reseda“ 15-6414;*
- [0063] *d. ფოთლების განლაგება – ალტერნატიული და სპირალური;*
- [0064] *e. ფოთლის ფორმა – ელიფსური;*
- [0065] *f. ფოთლის კიდეები – მთლიანი;*
- [0066] *f. კიდეებს დატალვა – მთლიანი;*
- [0067] *h. ფოთლის ძარღვები – ანასტომოზი;*
- [0068] *i. ფოთლების წვერო – ზომიერად ბასრი;*
- [0069] *j. ფოთლის ფუძე – ბლაგვი;*
- [0070] *k. ფოთლის სიგრძე – საშუალოდ 60.78 მმ;*
- [0071] *l. ფოთლის სიგანე – საშუალოდ 32.79 მმ.*
- [0072] *m. ფოთლის სიგრძის/სიგანის თანაფარდობა – 1.85;*
- [0073] *n. ფოთლის ნექტარი – არ არის;*
- [0074] *o. ზედა ბუსუსები – არ არის;*
- [0075] *p. ქვედა ბუსუსები – არ არის;*
- [0076] *q. განივკვეთი პროფილი – ბრტყელი;*
- [0077] *i. გრძივი პროფილი – ბრტყელი;*
- [0078] *s. პოზიცია – სწორი;*
- [0079] **ფოთლის ყუნწი:**
- [0080] *a. სიგრძე – 3.887 მმ;*
- [0081] *b. სიგანე – 1.712 მმ;*
- [0082] *c. ფერი – პანტონის ფერი „Green Banana“ 14-0434;*
- [0083] *d. ფოთლის ყუნწის ტექსტურა – გლუვი.*

ყვავილები

[0084] ზოგადი:

- [0085] *a. ყვავილობის დაწყების დრო – შუა აპრილიდან გვიან აპრილამდე ლო-უელში, ორეგონი;*
- [0086] *b. 50%-იანი ყვავილობის დრო – დაახლოებით ადრეულ მაისში, ლო-უელში, ორეგონი;*
- [0087] *c. ყვავილის ფორმა – კოკორისებრი;*
- [0088] *d. ყვავილის კვირტების სიხშირე – საშუალო;*
- [0089] *e. ყვავილის სურნელი – მკვეთრი, ტკბილი, ყვავილოვანი;*
- [0090] *f. უმწიფარი ყვავილის ფერი – პანტონის ფერი „Snow White“ 11-0662;*
- [0091] *g. შეთავსებადობა – ძალიან კარგი, თვითდამტვერილი.*

[0092] გვირგვინი:

- [0093] a. ფერი – პანტონის ფერი „Snow White“ 11-0602;
- [0094] b. სიგრძე – 8.214 მმ;
- [0095] c. სიგანე – 8.228 მმ;
- [0096] d. ღიობის სიგანე – 3.868 მმ;
- [0097] e. გვირგვინის ანთოციანინის ფერი – ღია ფერის ან უფერული;
- [0098] f. ამოზნექილი გვირგვინი – აქვს;
- [0099] g. სტიგმის პროტრუზია – 0.114 მმ გვირგვინის ქვემოთ.

[0100] ყვავილეთი:

- [0101] a. სიგრძე – 30.436 მმ;
- [0102] b. დიამეტრი – 32.78 მმ;
- [0103] c. ყვავილის ყუნწის სიგრძე – 20.954 მმ.
- [0104] d. ყვავილის ყუნწის ზედაპირის ტექსტურა – მოკლე ბუსუსიანი;
- [0105] e. ყვავილის ყუნწის ფერი – პანტონის ფერი „Holly Berry“ 17-1633;
- [0106] f. ღერაკის სიგრძე – 8.16 მმ;
- [0107] g. ღერაკის ზედაპირის ტექსტურა – მოკლე ბუსუსიანი;
- [0108] e. ღერაკის ფერი – პანტონის ფერი „Holly Berry“ 17-1633;
- [0109] i. ყვავილების რაოდენობა მტევანზე – 10.20;
- [0110] j. ყვავილის მტევნის სიხშირე – დიდი ზომის და საშუალოდ მჭიდრო.

[0111] ფოთოლაკი (ჯამის ფოთლით):

- [0112] a. დიამეტრი – 8.542 მმ;
- [0113] b. ფერი (ჯამის ფოთლები) – პანტონის ფერი „Reed“ 13-0215.

[0114] მტვრიანა:

- [0115] a. სიგრძე – 6.698 მმ;
- [0116] b. რაოდენობა ყვავილში – 11 მტვრიანა ერთ ყვავილში;
- [0117] c. მტვრიანას ძაფის ფერი – პანტონის ფერი „Green Glow“ 13-0442.

[0118] ბუტკო:

- [0119] a. სიგრძე – 10.22 მმ;
- [0120] b. ნასკვის ფერი (გარე) – პანტონის ფერი „Piquant Green“ 17-0235;
- [0121] c. ღეროს სიგრძე – 8.452 მმ.

[0122] სამტვრე:

- [0123] a. სიგრძე – 4.47 მმ;
- [0124] b. რაოდენობა – 2 ცალი ერთ მტვრიანას ძაფში;
- [0125] c. ფერი – პანტონის ფერი „Topaz“ 16-1150.

[0126] მტვერი:

- [0127] a. სიმრავლე – საშუალო;
- [0128] b. ფერი – პანტონის ფერი „Cornhusk“ 12-0817.

ნაყოფი

[0129] ზოგადი:

- [0130] a. ნაყოფის დამწიფების დრო – გვიანი. მოსავლის პირველი აღება იწყება Cargo-ის შემდეგ და Last Call-მდე, ჩვეულებრივ აგვისტოს პირველ კვირას ლოუელში, ორეგონი;
- [0131] b. 50%-იანი სიმწიფის დრო – დაახლოებით აგვისტოს დასაწყისი ლოუელში, ორეგონი;
- [0132] c. ნაყოფის განვითარების პერიოდი – საშუალოდ 85 დღე ლოუელში, ორეგონი;

- [0133] *d. მოსავლის აღების საშუალო თარიღი* – დაახლოებით 3 აგვისტო. ყვავილების დაახლოებით 72%-მა მოგვცა ნაყოფი.
- [0134] *e. ბოლო აღების საშუალო თარიღი* – დაახლოებით აგვისტო;
- [0135] *f. მტევნის სიხშირე* – საშუალო;
- [0136] *g. მტევანში კენკრის რაოდენობა* – 8.6 კენკრა ერთ მტევანზე;
- [0137] *h. უმწიფარი ნაყოფის ფერი* – პანტონის ფერი „Herbal Garden“ 15-0336;
- [0138] *i. მწიფე ნაყოფის ფერი* – პანტონის ფერი „Purple Cloud“ 16-3919;
- [0139] *j. კენკრის კანის ფერი გაპრიალების შემდეგ* – პანტონის ფერი „Dark Navy“ 19-4013;
- [0140] *k. ცვილის რაოდენობა კენკრის ზედაპირზე* – მაღალი;
- [0141] *l. კენკრის რბილობის ფერი* – პანტონის ფერი „Lilly Green“ 13-0317;
- [0142] *m. კენკრის წონა* – საშუალოდ 2.510 გ;
- [0143] *n. კენკრის სიმაღლე ფოთოლაკიდან ყუნწამდე* – 11.778 მმ;
- [0144] *o. კენკრის დიამეტრი* – 18.100 მმ;
- [0145] *p. ფოთოლაკის ღიობი* – საშუალოდ 7.817 მმ;
- [0146] *q. ფოთოლაკის სიღრმე* – საშუალოდ 1.105 მმ;
- [0147] *i. ღერაკის სიგრძე* – საშუალოდ 8.932 მმ;
- [0148] *s. ღერაკის ზედაპირის ტექსტურა* – გლუვი;
- [0149] *t. კენკრის მოცილების სიძლიერე* – საშუალოდ რთული;
- [0150] *u. კენკრის ფორმა* – პოლუსებთან შებრტყელებული;
- [0151] *v. ნაყოფის ყუნწი* – 1.684 მმ;
- [0152] *w. მწიფე ნაყოფის სიტკბო* – საშუალო;
- [0153] *x. მწიფე ნაყოფის სიმკვრივე* – მკვრივი;
- [0154] *y. მწიფე ნაყოფის მჟავიანობა* – საშუალო;
- [0155] *z. შენახვის თვისება* – კარგი.

თესლი

- [0156] **ზოგადი:**
- [0157] *a. თესლის სიმრავლე ნაყოფში* – საშუალო;
- [0158] *b. თესლის ფერი* – პანტონის ფერი „Brown Sugar“ 17-1134;
- [0159] *c. თესლის მშრალი წონა* – 0.267 მგ;
- [0160] *d. თესლის სიგრძე* – საშუალოდ 1.5 მმ.
- [0161]

მშობელი და კომერციული ჯიშების შედარება

ცხრილი 1

მსგავსი ჯიშის დასახელება	მახასიათებლები შედარებისთვის	მსგავსი ჯიშის გამოხატვის მდგომარეობა	კანდიდატი ჯიშის გამოხატვის მდგომარეობა
Liberty	ძლიერი	დაბალი	მაღალი
Legacy	ყვავილობის შენარჩუნება	საშუალო	მაღალი
Aurora	სეზონი	ძალიან გვიანი	გვიანი
Aurora	მჟავიანობა	მაღალი	საშუალო
ZF06-264	ნაყოფის ზომა	საშუალო	დიდი
ZF06-103	ზრდა	ნაწილობრივ უწყესრიგო	ვერტიკალური

ფორმულა: 1. მოცვის მცენარის ახალი და განსხვავებული ჯიში სახელად „FC12-205“, ძირითადად, როგორც ნაჩვენებია და აღწერილია აქ



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახლება: 3



გამოსახლება: 4



გამოსახულება: 5



გამოსახულება: 6

ჯიშის კატეგორია: მცენარე
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: P 2024 258 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი: 2024 02 16 №1
განაცხადის ნომერი: P 2020 258
განაცხადის წარდგენის თარიღი: 2020 07 15

განმცხადებელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.
 39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუზოგბესა ახალი ჯიში:
 პეტერ სტეფან ბოხესი (US)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:
 მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

ჯიშის დასახელება: FC11-118

ჯიშის მოკლე დახასიათება

წარმოდგენილია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „FC11-118“. „FC11-118“ კომერციული ჯიშია, რომლის მოსავლის აღება ხდება ხელით და განკუთვნილია ახალი ხილის ბაზრისთვის. ჯიში მიღებულია „ZF05-086“-ს (მდედრი მშობელი, არ არის რეგისტრირებული) და „კარგო“-ს (მამრი მშობელი, დაპატენტებული 2014 წლის 22 ივლისს) შეჯვარებით, რომელიც შეიძლება გამორჩეული იქნეს თავისი განსაკუთრებული მახასიათებლებით, მათ შორის, მცენარის უკიდურესად ერთგვაროვანი ჯანსაღი მდგომარეობით, სიძლიერით და ფორმით; დიდი, ერთიანი ზომის, მკაფიო ფორმის ნაყოფით და ნაყოფის მყარი ტექსტურით; გრძელვადიანი ცივი შენახვის შესანიშნავი მაჩვენებლით.

CATEGORY OF THE APPLICATION: PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION: P 2024 258 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION: 2024 02 16 №1
NUMBER OF THE APPLICATION: P 2020 258
OF FILING OF THE APPLICATION: 2020 07 15

APPLICANT:

Fall Creek Farm & Nursery Inc.
39318 Jasper-Lowell Rd., 97452, Lowell (OR) (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Peter Stefan Boches (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Blueberry / *Vaccinium corymbosum* L.

VARIETY DENOMINATION: FC11-118

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

The new blueberry plant variety “FC11-118” is provided. “FC11-118” is a commercial variety intended for the hand harvest fresh fruit market. The variety is produced from a cross of “FC11-118” (female parent, unpatented) and “Cargo” (male parent, patented Jul. 22, 2014), which can be distinguished by its outstanding features, including extremely uniform healthy plant condition, vigor, and shape; large, uniform fruit size and distinct fruit shape; firm fruit texture; and excellent long - term cold storage performance.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:
 მოცვი / Vaccinium corymbosum L.

II. განმცხადებელი:
 ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.
 39318 ჯასპერ ლოველ რდ., 97452, ლოუელი (OR) (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:
 პეტერ სტეფან ბოხესი (US)

III. ჯიშის დასახელება: FC11-118

IV. ჯიშის ნიშან-თვისებები:
 „FC11-118“-ს აქვს ერთგვაროვანი, დიდი ხილის საიმედო მაღალი მოსავლიანობა. ნაყოფის შენახვის ვადა შესანიშნავია, უკიდურესი სიმტკიცით მოსავლის აღებისას და ცივი შენახვის დროს. „FC11-118“-ს აქვს მკვრივი ფოთლის ტილო, რომელიც იცავს ნაყოფს მაღალი სიცხის დროს, რაც იწვევს მინიმალურ ჭუჭყს და მზისგან დამწვრობას. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფის ფერი მუქია სხვა Fall Creek ჯიშებთან შედარებით, დიდი ზომა და ფორმა იძლევა მიმზიდველ გარეგნობას.

„FC11-118“-ის შთამბეჭდავი ნაყოფის სიმტკიცე საშუალებას აძლევს მწარმოებლებს შეაფერხონ მოსავლის აღება, გაზარდონ ხილის სიტკბო და არომატი, გააუმჯობესონ შრომის მოქნილობა.

კენკრის ზომა: დიდი

ხილის თვისებები: ძალიან მკვრივი, რბილი არომატული

ბუჩქი: მომრგვალო, ძალიან ერთგვაროვანი

გაგრილების დონე: მაღალი სიცივე

სიმწიფის სეზონი: შუა/გვიანი

ჯიშის გამრავლების მეთოდი: ვეგეტატიურად გამრავლებული

უნდა აღინიშნოს ჯიშის მახასიათებლები:

მცენარე: ზრდის ჩვევა – ნახევრად ვერტიკალური

ნაყოფი: კანის ფერი (აყვავების მოცილების შემდეგ) – მუქი ლურჯი

მცენარე: ნაყოფის ტიპი – ერთწლიანი

ყვავილობის დაწყების დრო: საშუალო

ნაყოფის მომწიფების დაწყების დრო: საშუალოდან გვიანამდე.

მსგავსი ჯიშები და განსხვავებები ამ ჯიშებისგან

თქვენი კანდიდატი ჯიშის მსგავსი ჯიშის დასახელება	მახასიათებლები, რომლებშიც თქვენი კანდიდატი ჯიში განსხვავდება მსგავსი ჯიშისგან	მახასიათებლ(ებ)ის გამოხატულება მსგავსი ჯიშისთვის	მახასიათებლ(ებ)ის გამოხატულება თქვენი კანდიდატი ჯიშისთვის
Cargo	ფოთოლ-ხილის ბალანსი	დაბალი	მაღალი
Cargo	სიმტკიცე	მყარი (283 გ/მმ)	ძალიან მყარი (315 გ/მმ)
Legacy	ნაყოფის ზომა	2.2 გ (დიდი)	2.8 გ (ძალიან დიდი)
Legacy	მოსავლის კონცენტრაცია	3 მოსავალი	2 მოსავალი

ყინვაგამძლეობისა ან გაგრილების საათების მოთხოვნები კანდიდატი ჯიშის მცენარეული მასალის სათანადო განვითარებისათვის, DUS საცდელი ველი:

მაღალი გაგრილება – მინიმუმ 800-1000 საათი 7°C-ზე დაბლა;

მინიმალური ტემპერატურა – არაა -6°C-ზე დაბალი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ან ნებისმიერი მინიმალური ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლებია;

ყინვაგამძლეობა – საჭიროა ყინვაგამძლე დაცვა, თუ ტემპერატურა ეცემა -4°C-ზე დაბლა კვირტის გაჩენის დროს ან 0°C-ზე მწვანე ხილის ან ყვავილების არსებობისას.



გამოსახულება: 1



გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3



გამოსახლება: 4



გამოსახლება: 5



გამოსახულება: 6

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის
ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS
AND BREEDS OF ANIMALS

№ 1(76)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

Electronic version of the bulletin is available on the website of the National Intellectual Property Center of Georgia “Sakpatenti”.

ქართული თარგმანის სიზუსტეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.
Accuracy of the Georgian translation is the responsibility of the applicant.

EDITOR-IN-CHIEF:	ნ. ბებრიშვილი N. Bebrishvili
PROOFREADER:	მ. სოსელია M. Soselia
COMPUTER LAYOUT:	ქ. სვანიძე K. Svanidze
პოლიგრაფიული ჯგუფი: POLYGRAPHIC GROUP:	მ. მეჩიტაშვილი M. Mechitishvili
	ლ. დოლიძე L. Dolidze

ISSN 2720-8494

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2024 02 15
Signed for Publication on:

ტირაჟი: 10
Print Run:

შეკვეთა №1
Order